გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

13 აპრილი
ხუთშაბათი
2023 წელი
№16 (9278)
ფასი 40 თეთრი


## გილოცავთ და გილოცავთ!



ისტორიული თორის მიწა-წყლის შვილებს!

ქრისტესმიერი სიყვარულით აღვსილი გილოცავთ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

იხარეთ ორსავ სოფელსა შინა.

თქვენთვის მლოცველი მიტროპოლიტი

**დანიელი**

**ბესიკ ამირანაშვილი,**

სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში.



**გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ქრისტე აღდგა!**

**ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესი საუფლო დღესასწაულია. სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაული. დღე, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებულია, ყველაზე დიდი სიხარულის და იმედის მომტანია.**

**გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიძლიერეს!**

**ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!**

**ოთარ არბოლიშვილი,**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი.



**ქრისტე აღდგა!**

**ძვირფასო ბორჯომელებო, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ!**

**თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ეს ყველაზე დიდი დღესასწაულია. სიხარულისა და იმედის მომტანი დღე – სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, სულიერი ამაღლების დღესასწაული.**






## როცა მრი და ზმრი მრთიანია!

**6 აპრილს სამუსიკო სკოლის დარბაზში ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის მეუფე დანიელი შეხვდა მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს და საკრებულოს დეპუტატებს.**

მეუფე დანიელმა კმაყოფილება გამოთქვა ადგილობრივი ხელისუფლების და ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიის სასულიერო პირებს შორის არსებულ კეთილგანწყობილებისა და საქმიანი



ურთიერთობის ატმოსფეროსათვის.

ვრცლად ისაუბრა ქვეყნისა და ერის წინაშე საქართველოს პატრიარქის ილია მე-II-ის უდიდეს დამსახურებაზე, მის უსაზღვრო ავტორიტეტზე არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში.

ქართველმა ერმა დამსახურებული პატივი მიაგო საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია II-ის დაბადების 90 წლისთავის და აღსაყდრების 45 წლის აღსანიშნავად.

2023 წელი გამოცხადებულია პატრიარქის საიუბილეო წლად და ქვეყანაში არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი ამ უდიდესი საიუბილეო თარიღების ღირსეულად აღნიშვნისათვის. მეუფემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ქართველი ერის წინაშე მართლმადიდებლური სარწმუნოების უდიდეს მნიშვნელობასა და დამსახურებაზე. საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, ქართველი ერი ქრისტიანობისა და მართლმადიდებლური რწმენის გარეშე წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, ერი დიდი პასუხისმგებლობისა და ამოცანების წინაშეა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მართლმადიდებლობისადმი რწმენა ქართველ ერში კიდევ უფრო განმტკიცდეს და ვიმოქმედოთ ერთმანეთისადმი უსაზღვროდ დიდი სიყვარულით.


**(გაგრძელება მესამე გვერდზე)**


## სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების ზეიმი



**აღდგომა საქართველოში,** ისევე, როგორც მთელს ქრისტიანულ სამყაროში, უდიდესი დღესასწაულია. ამ დღეს აღვნიშნავთ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებას, განახლებას. აღდგომა უმთავრესია თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის და იგი გაზაფხულის ბუნობის მომდევნო კვირას აღინიშნება, იუდეველთა პასექის დასრულების შემდეგ, კვირას (ეს დღე ყოველ წელს, ახალი სტილით, 4 აპრილიდან 8 მაისამდე შუალედში ხვდება). აღდგომის დღესასწაულის განუყოფელი ნაწილია ბზობა, დღე, როდესაც ქრისტე იერუსალიმში დიდებით შევიდა, ხალხი მას პალმის რტოებითა და „ოსანას" შეძახილით ეგებებოდა. ამ დღესასწაულზე ყველა ოჯახს ტაძრიდან სახლში ბზის ტოტები მიაქვს, ნაკურთხი ბზა საქართველოში პალმის რტოების სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. ბზობას მოჰყვება ვნების კვირა. ვნების კვირაში, წითელ პარასკევს ყველა ოჯახში კვერცხებს წითლად ღებავენ, რაც ქრისტეს ვნების სიმბოლოა. სააღდგომო კვერცხებს აღდგომამდე არავინ მიირთმევს. აღდგომის წინა დღეებში აცხობენ ასევე სააღდგომო პასკას. ბოლო წლებში სააღდგომო ტრადიციის აუცილებელ ატრიბუტად იქცა მომცრო ჭურჭელში ჯეჯილის გაზრდა, რაც სიცოცხლესა და განახლებას უკავშირდება. სააღდგომოდ გაზრდილ ჯეჯილს წითელ კვერცხებს შემოუწყობენ ხოლმე. აღდგომის დღესასწაულს მორწმუნეთა დიდი ნაწილი ეკლესიაში ხვდება და საზეიმო ლიტურგიას ესწრება, რომელიც დილამდე გრძელდება. აღდგომიდან ერთი კვირის განმავლობაში შეხვედრისას ადამიანები აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს, მისალმების ნაცვლად ამბობენ – „ქრისტე აღსდგა"! და პასუხობენ – „ჭეშმარიტად"! (ადრე ეს ტრადიცია აღდგომიდან 40 დღეს გრძელდებოდა). აღდგომას ყოველ ოჯახში იშლება საზეიმო სუფრა, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს სააღდგომო წითელი კვერცხები და პასკა. ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ სააღდგომო კვერცხების ერთმანეთზე დარტყმის ტრადიცია, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება რთულად დასამტვრევი კვერცხი შეარჩიოს, ვისი კვერცხიც დარტყმისას არ გატყდება, მოწინააღმდეგის გატეხილი კვერცხიც მას ერგება. საქართველოში დამკვიდრებულია აღდგომის მომდევნო დღეს სასაფლაოზე გასვლის ტრადიცია. ადამიანები ახლობელთა საფლავებზე გადიან, მიაქვთ სააღდგომო კვერცხი, პასკა, მცირედი სასმელი და საკვები, მოიხსენიებენ მიცვალებულებს და სააღდგომო კვერცხებს საფლავზე ტოვებენ. აღდგომის მომდევნო კვირას კვირაცხოვლობა აღინიშნება.

**საქართველოში ცნობილია ძველი სააღდგომო ტრადიციები, რომლებიც დღეს უკვე მივიწყებულია. ერთ-ერთი გამორჩეული ტრადიციაა ჭონა, რომელიც თავისი ხასიათით საშობაო ალილოს მიაგავს. მეჭონეები სააღდგომო სიმღერით მიდიოდნენ სოფლის ყველა ოჯახში და დღესასწაულს ულოცავდნენ. ოჯახი მეჭონეებს კვერცხებით, ტკბილი კვერებით და ფულითაც ასაჩუქრებდნენ. დღის ბოლოს, შეგროვილი სანოვაგით სოფლის მთელი ახალგაზრდობა ერთად აღნიშნავდა აღდგომას. განსხვავებული ტრადიციები არსებობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყაზბეგში, სოფელ სნოში დამკვიდრებული ძველი ტრადიციაც ძალიან ჰგავს ჭონას. აღდგომას ახალგაზრდა ვაჟების მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი, სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცის ხელმძღვანელობით სოფლის ყველა ეზოში შედიოდა აღდგომის მილოცვით. მოსულებს ოჯახის წევრები გამოეგებებოდნენ, დიასახლისს კი შესაწირი გამოჰქონდა. ეზოს შუაგულში მწკრივად აწყობდნენ სააღდგომო კვერცხებს ოჯახის წევრთა სადღეგრძელოდ, თან ხმამაღლა ამბობდნენ, ვის სახელზე იდებოდა კვერცხი. მწკრივში დალაგებულ კვერცხს ახალგაზრდები ისრებს ესროდნენ, სანამ ყველა მათგანს არ მოხვდებოდა ისარი. ხშირად შესაწირში კვერცხთან ერთად მოხვევები სხვადასხვა საჭმელს და ფულსაც დებდნენ. დღის ბოლოს მოგროვილი შესაწირით საერთო ზეიმი იმართებოდა, ფული კი სოფლის სასარგებლო საქმეს ხმარდებოდა.**

## განახლებული თოჯინების თეატრი

**10 აპრილს,** საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანების ერთი წლის იუბილესთან დაკავშირებით, რეაბილიტირებული ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრი საზეიმოდ გაიხსნა. სარემონტო სამუშაოები თითქმის ოთხი თვის მანძილზე მიმდინარეობდა და ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა როგორც გარე ინტერიერი, ასევე თეატრის შიდა დარბაზი.

ღონისძიების პირველ ნაწილში გაიმართა საიტის პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებაში შემავალი ხუთივე თეატრის საინფორმაციო ბაზას.

საღამოზე წარმოდგენილი იყო ნიკოლოზ საბაშვილის საავტორო სპექტაკლი „საქართველო".

საღამოს ესწრებოდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ქალბატონი **თეა წულუკიანი,** ადგილობრივი ხელისუფლებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები როგორც ბორჯომიდან, ასევე რეგიონიდან.



**თეა წულუკიანი: – ჩვენ რეაბილიტირებული სივრცე გავხსენით დღეს ბორჯომში, მოხდა სრულიად ახალი საიტის პრეზენტაცია საქართველოს პროფესიული სახელმწიფო თეატრებისა, რომელიც ინფორმატიულია და ბავშვებისთვისაც ხელმისაწვდომია და სივრცე, რომელიც ბავშვებზეა მორგებული და კომფორტულია. უჩვენეს ნიკოლოზ საბაშვილის სპექტაკლი „საქართველო", რომელიც ბევრ რამეს ამბობს ჩვენს ჭირნახულ ქვეყანაზე. ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ იხილონ აღნიშნული სპექტაკლი არა მარტო ბორჯომში, არამედ თბილისში, ახალციხეში.**

**დღევანდელი დღე მოწმობს, რომ ჩვენი სამსახურისთვის ქართული თეატრი არის პრიორიტეტი.**

**აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დღეს გაერთიანებასა და ბაზის ბანკს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.**

**ნატო მელიქიძე**

## ჟურნალისტთა ყრილობა

**2023 წლის** 8 აპრილს თბილიში გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის VI(XVII) ყრილობა.

ყრილობა გახსნა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა, ჟურნალისტთა კავშირის წევრმა **როინ მეტრეველმა.** ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით წარსდგა ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე **მარინა თექთუმანიძე.**



დეპუტატებმა დაამტკიცეს კავშირის ახალი წესდება. აირჩიეს გამგეობის ახალი შემადგენლობა.

ყრილობაზე საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარედ ხმათა უმრავლესობით აირჩიეს საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორის" გენერალური დირექტორი **გიორგი მამაცაშვილი.**

# სააღდგომო პროდუქტები მისაღებ ფასად

**საქართველოში მოსახლეობის ხელფასისა თუ პენსიის 70-80%-ზე მეტი არსებობისათვის აუცილებელი საკვები პროდუქტებისათვის იხარჯება ყოველთვიურად. პრემიერის დანაპირებს იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში განსაკუთრებით ბოლო ნახევარი წლის მანძილზე მომატებული პროდუქტების ფასი საგრძნობლად დაიწევდა ნამდვილად გამართლდა და როგორც მოსახლეობა აღნიშნავს კიდეც, პროდუქტებზე დაწეული ფასები მათთვის თვალსაჩინოა. აღდგომის დღესასწაული კი ნამდვილად ის პერიოდია, როდესაც მოსახლეობა განსაკუთრებულად ემზადება და მათთვის მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტები და რაც მთავარია, მისაღებ ფასად შეიძინოს.**
**ჩვენ პროდუქტის ფასების გასაგებად ბორჯომში არსებულ რამდენიმე სუპერმარკეტს ვეწვიეთ.**

**სუპერმარკეტი** „გუდმარტი“, რომელიც ერთ-ერთი მოზრდილი სავაჭრო ქსელია და ორ მაღაზიას ფლობს, სწორედ პირველი სავაჭრო ცენტრი გახლავთ, რომლის მენეჯერსაც კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**ჯულიეტა ბაბურიშვილი სუპერმარკეტ „გუდმარტის“ მენეჯერი:** - ზოგადად ბოლო პერიოდში ნამდვილად შეინიშნება პროდუქტებზე ფასების კლება, ხოლო რაც შეეხება სააღდგომოდ მნიშვნელოვან პროდუქტებს, აღნიშნულ პროდუქტებზეც ფასდაკლება დაწყებულია. ფასდაკლება ეხება, როგორც ზეთს, ხორცეულს, თევზეულს, კვერცხს, ასევე სასიცოხლოდ მნიშვნელოვან სხვადასხვა სახის პროდუქტებს. აღდგომის ჩათვლით, სრულ ამოყიდვამდე შეგიძლიათ ფასდაკლებით ისარგებლოთ შემდეგი სახის პროდუქტებზე: პირველი ხარისხის ფქვილი ორ კილოიანი დაფასოებული - 3.30, სიმინდის, ბარდისა და ზეთისხილის კონსერვები ერთად - 7.85 ლარი, „ბორჯომის კვერცხი“ - 3.90 ლარი, გლეხურის ფასი - 4.0 ლარი, ზეთი ფასდაკლებით იწყება - 3.900-დან, შაქარი - 2.45, შედედებული რძე - 3.60, მოხარშული - 5.30, ბარდა - 1.60, კულას ტომატი - 3.90, ასევე გვაქვს - 3.0 ლარიანი ტომატიც, ფასდაკლება ვრცელდება გაზიან სასმელებზე, ყაზბეგისა და იბერიის ლიმონათებზე, ქათმის ბარკალი „ბაქფი“ - 7.70, ტოლმა - 9.00, ბლინი - 8.40. მნიშვნელოვანი ფასდაკლებაა თევზეულსა და ხორცეულზეც სკუმბრია თავიანი - 8.10, ხეკი - 8.10, ორაგულის სტეიკი - 14,70, ღორის კარეიკა - 9.80 უკრაინული - 5.05.




რაც შეეხება სუპერმარკეტ „მაგნიტს“ მათ სოციალურ გვერდზე თითქმის ყოველდღიურად თავსდება ინფორმაცია ფასდაკლებებთან დაკავშირებით და ამჟამადაც აღნიშნულ სუპერმარკეტში დაწყებული სააღდგომო აქციები. აქ მნიშვნელოვანია, რომ 30 ან მეტი ლარის შენაძენზე 50-იანი ფასდაკლება მოქმედებს შერჩეულ პროდუქციაზე. აქცია ეხება ერთ კონკრეტულ პროდუქტს და აქციით სარგებლობა შესაძლებელი 15 აპრილის ჩათვლით.




რაც შეეხება სხვა საკვებ პროდუქტებს, 15 აპრილის ჩათვლით აღნიშნული პროდუქტების შეძენაც ფასდაკებით შეგიძლიათ. მაგალითად, ზეთი „ბარაქა“ - 3.25, ქათმის ფილე „ბიბილო“ - 7.60, ქათმის ღვიძლი - „სეარა“ - 3.23, ქათამი „ქუალიკო“ - 5.30, არაჟანი „სანტე“ - 2.33, მაიონეზი „სლობოდა“ - 6.28, კარაქი „პრეზიდენტი“ - 5.48. აქცია გრძელდება 17 აპრილის ჩათვლით. ფასდაკლებაა ტკბილეულზეც და სასმელებზეც.

ასევე სუპერმარკეტი „ორი ნაბიჯი“ გთავაზობთ მნიშვნელოვან ფასდაკლებებს. ზეთისხილის კონსერვი „მილიოვა“ - 2.99, 3.95-ის ნაცვლად, საქონლის ხორცის კონსერვი „მისნაია ლავკა“ - 3.49 ლარი 5.90-ის ნაცვლად. ქათმის გაყინული ბარკალი - 4.99 ლარი 6.40 ლარის ნაცვლად.

სააღდგომოდ მნიშვნელოვანი ფასდაკლებები ვრცელდება შემდეგი სახის პროდუქტებზე: მაწონი საბავშვო „სოფლის ნობათი“ - 2.09 ლარი, შესქელებული რძე „ბარაქა“ მოხარშული - 2.79, გაყინული ქათამი „ქუალიკო უკრაინული“ - 6.79, გაყინული ფილე „გრაკო“ ქათმის - 8.99, მოხარშული ძეხვი „ლიდერფუდი“ საექიმო - 6.99, დაჭრილი სოკოს კონსერვი „ბონო“ - 1.99, ბარდის კონსერვი „ბრაქა“ - 1.79, მაიონეზი „მასკოვსი პროვანსალი“ - 2.99, ვაფლი „ბარამბო“ ლიმონით - 2.79, ვაფლი „ბარამბო“ შიკოლადით - 2.79, ორცხობილა „სანდომი“ ირისით - 5.99, პომიდვრის კონსერვი პასტა „კინგტომი“ - 3.29, გამაგრილებელი სასმელი „მირინდა“ - 2.99.

ესაა ის მცირედი ჩამონათვალი პროდუქტებისა, რასაც აღნიშნული სუპერმარკეტები სთავაზობენ სააღდგომო დღეებში მომხმარებლებლებს, არჩევანი კი მხოლოდ თქვენზეა.

აღნიშნულ მარკეტში შეგიძლიათ პროდუქტების შეძენა ონლაინ მაგალითად, კვერცხი „ზოგე“ 4 19 თეთრი, პასკა „სანდომი - 5,98 ქათმის ფილე -8, 75, ზეთისხილის კონსერვი „მიოლივა“ - 2,99“.

**მოამზადა ნატო მელიქიძე.**

# თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე

**თანამედროვე** ცხოვრება საკმაოდ რთული რეჟიმის პირობებში გვამყოფებს. ძნელია დრო ისე გაანაწილო, რომ ყველგან დათქმულ საათსა თუ წუთზე მიხვიდე. მითუმეტეს, როდესაც საქმე ჯანმრთელობას ეხება და დანამდვილებით არ იცი, რა დროს რა დაგჭირდება და როდის მოგიწევს სამედიცინო ცენტრში მისვლა. სწორედ ასეთი გაუთვალისწინებელი ვიზიტი მქონდა ბორჯომის „ჯეო ჰოსპიტალსის“ სამედიცინო ცენტრის ლაბორატორიულ განყოფილებაში. ანალიზების მიღების საათები დასრულებული იყო და სიმართლე გითხრათ, არც მქონდა იმედი, რომ ანალიზების ჩაბარებას მოვახერხებდი, თუმცა როდესაც ლაბორატორიის კარი შევაღე, ჩემდა გასაოცრად, საოცარი სითბოთი და ყურადღებით მიმიღეს და შესაბამისი მომსახურებაც გამიწიეს. მე როგორც ჟურნალისტი, იმაზე მეტ რამეს ვხედავ და ვამჩნევ, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები ხედავენ და არც ახლა გამომპარვია, ახალი თანამედროვე აპარატურა, რომლითაც ანალიზები კეთდება. ქალბატონ თამარ დათუნიშვილს ლაბორატორიული მიმართულების ხელმძღვანელს ვთხოვე, რომ ჩემთვის ლაბორატორიის მუშაობაზე, თანამედროვე აპარატურასა და იმ სერვისებზე ესაუბრა, რასაც კლინიკა ყოველდღიურად თავაზობს ამბულატორიულ და სტაციონარის პაციენტებს.



- ბორჯომის „ჯეო ჰოსპიტალსის“ მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს ყოველდღიურად უამრავი პაციენტი აკითხავს. განსაკუთრებულად ბევრი პაციენტის მიღება უწევთ ლაბორატორიულ განყოფილებაში, სადაც დღის ცვლაში ძირითადად ოთხი ადამიანი მუშაობს. ჩემთან ერთად არიან ექიმ-ლაბორანტი **ნინო აჩელაშვილი,** ლაბორანტები **ლალი გოგოლაძე** და **ხათუნა კვირიკაშვილი.** (რომლებიც ემსახურებიან როგორც ამბულატორიას, ასევე სტაციონარს). ასევე, დამატებით 24 საათის მანძილზე კლინიკას ემსახურება ოთხი მორიგე ექიმ-ლაბორანტი - **მანანა თვაური, ნუნუ ზუმბაძე, რაისა როსტომაშვილი, ნინო ლომიძე.**

ჩვენ ლაბორატორიაში შეგიძლიათ ჩაიტაროთ კლინიკური, ბიოქიმიური, ციტოლოგიური, იმუნოსეროლოგიური, ფერმენტების, ასევე (ორსულობის დადგენა სისხლით) ონკომარკერები, მჟავა ტუტოვანის თანასწორობა, ელემეტები (საერთო და იონიზირებული), ბაქტერიოსკოპიული და ბაქტერიოლოგიური (მგრძნობელობა და სტერილობა), კოაგულოგრამა, - დიმერი, ჰორმონების და ა.შ. ასევე ნებისმიერი ანალიზი საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაიგზავნოს თბილისში, ცენტრალურ ჰოსპიტალში.

სამწუხაროდ, ბოლო 2 წლის მანძილზე გახშირებულია კოვიდ პანდემიის შემდგომ პაციენტთა მომართვიანობა და ხშირია სისხლში გარკვეული სახის ცვლილებები, რაც კოვიდის შემდგომ გართულებებითაა განპირობებული. მნიშვნელოვანია, რომ საეჭვო ანალიზის პასუხის შემდეგ ხდება პაციენტების თბილისში გადაგზავნა შესაბამის კლინიკებში. მაგალითად, თუკი არის პათოლოგია სისხლის დაავადების, პაციენტები ჰემატოლოგიური კვლევისათვის იგზავნებიან თბილისში.

ჩვენი კლინიკა რაიონში ერთადერთი კლინიკაა, სადაც წარმოებს შიდა და გარე კონტროლი, რაც მეტი სანდოობის გარანტიაა.

მთელი დღის მანძილზე ლაბორატორიას მინიმუმ 50-მდე პაციენტი მიმართავს სხვადასხვა ანალიზების გაკეთების მოთხოვნით. უნდა აღინიშნოს, რომ აქ პენსიონერები, სოციალურად დაუცველები და გარკვეული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობენ. აქ კვირის ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი თქვენთვის სასურველი ანალიზის გაკეთება. „ჯეოჰოსპიტალსის“ ლაბორატორიული განყოფილების გუნდი მუდამ თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზეა.

**მოამზადა ნატო მელიქიძე**

# ბორჯომი ბევრ შესაძლებლობას გვთავაზობს



**გვანცა ჩადუნელმა ჩემი ყურადღება გამორჩეული აზროვნებითა და არგუმენტირებული საუბრით მიიქცია. შემდეგ, მალევე შევიტყვე, რომ იგი წარჩინებული მოსწავლეა და სულ ახლახანს „ჩემი პირველი კომპიუტერი“ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით დაგეგმილი ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ, მას საჩუქრად პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა. გვანცა, ახალდაბის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეა და საბაზო საფეხური წარჩინებით 10 ქულით დაამთავრა.**

- მადლობა, ასეთი მოტივაციისთვის. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ემოციური დღე იყო. ძალიან გახარებული ვარ; მიხარია, რომ იმედები გავამართლე და მინდა მომავალშიც ასე გავაგრძელო.

● **მომიყევი, შენს შესახებ... რა მოგწონს და რა გეგმები გაქვს?**

- მომწონს, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის კულტურასა და წეს-ჩვეულებებს ვეცნობი. ასევე დაინტერესებული ვარ მითოლოგიის შესწავლით, ეს ჩემი ერთ-ერთი ჰობია. მომავლის გეგმებს რაც შეეხება, ახლა, ჩემს მაქსიმუმს გავაკეთებ და დანარჩენს დრო მიჩვენებს.

● **რას ნიშნავს შენთვის სკოლა და ცოდნის მიღება?**

- ჩემთვის სკოლა და ზოგადად განათლება არის ჩემი მომავლის ინვესტიცია. კარგი განათლებით შევძლებ რომ წარმატებული მომავალი მქონდეს.

● **ვიცი, რომ გაინტერესებს უცხო ენები? რომელი ენებით ინტერესდები და რატომ?**

- ინგლისურის სწავლისთვის, ჩემი ყველაზე დიდი მოტივაცია იყო, რომ შემძლებოდა ფილმების ინგლისურად ყურება და წიგნების ინგლისურად კითხვა. შემდეგ უკვე ძალიან დავინტერესდი აღმოსავლური კულტურით და ენებითაც. ვგეგმავ, რომ შევისწავლო რომელიმე აღმოსავლური ენა მაგ: არაბული, კორეული და ა.შ.

● **სირთულე, რომელსაც ხვდები სწავლისას და როგორ ძლევ ამ სირთულეებს? რას უკავშირებ შენს სწავლის მოტივაციას?**

- ყველაზე ხშირ შემთხვევაში ჩემთვის სირთულეს წარმოადგენს მოტივაციის გაქრობა, როცა უბრალოდ დანებება გინდა, მაგრამ ჩემი ამბიციები და წარმატებული მომავლის სურვილი დანებების და მოდუნების საშუალებას არასდროს მაძლევს. ჩემს მომავალზე ფიქრი მოტივაციას ყოველ ჯერზე მიბრუნებს.

● **XXI საუკუნის შესაძლებლობები შენთვის და როგორ შეგვიძლია ის გამოვიყენოთ ცოდნისათვის?**

- დღესდღეობით მოსწავლეებს ფართო შესაძლებლობები გვაქვს. ჩვენ გვაქვს წვდომა ინტერნეტთან, საიდანაც ძალიან მარტივად შეგვიძლია იმ ცოდნის მიღება, რომელიც გვაინტერესებს და გვსურს. მნიშვნელობა არ აქვს სად ვართ, ან რომელი საათია, ნებისმიერ დროს გვაქვს შესაძლებლობა ინტერნეტს დავუკავშირდეთ და ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია მოვიძიოთ.

● **როგორ თვისებას გამოარჩევდი მასწავლებელში?**

- მოსწავლის გაგება, ჩემი აზრით ის თვისებაა, რომელიც ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს, ესმოდეს შენი და ხვდებოდეს, რა გიჭირს. არ მოგერიდოს და შეგრცხვეს, როცა რაიმე გაუგებარია და გსურს ჰკითხო. საბედნიეროდ, მე ძალიან კარგი მასწავლებლები მყავს, რომლებსაც მოსწავლეების შეკითხვები არ აღიზიანებთ.

● **ახლა შენი ოცნება რა არის?**

- ჩემი ოცნება ისევ ჩემს მომავალს უკავშირდება. მინდა რომ წარმატებული ვიყო და მჯერა ამას სწავლით მივაღწევ.

● **მშობლების რჩევები, რომლებსაც გაძლევენ?**

- ჩემი ოჯახი პატარაობიდან მუდმივად კარგი სწავლისკენ მიბიძგებდა, რადგან ამაზე ჩემი მომავალია დამოკიდებული. დღესდღეობით, როდესაც მათ რჩევას ვეკითხები პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით, ყოველთვის მპასუხობენ, რომ ჩემი გადასაწყვეტია, რადგან ამითი ცხოვრება მე მომიწევს და ის უნდა ვაკეთო, რაც მომწონს.

● **როგორია თავისუფალი დრო შენს სივრცეში?...**

- მარტო ჩემს თავთან ყოფნა მიყვარს, ასე ვისვენებ. თავისუფალ დროს ფილმების ყურება ჩემთვის განტვირთვის ერთ-ერთი მეთოდია.

● **რას ისურვებდი ყველაზე მეტად ბორჯომში?**

- ბორჯომი ბევრ შესაძლებლობას გვთავაზობს. ვისურვებდი, რომ ამ აქტივობებისთვის მეტი დროის დათმობა შემეძლოს.

**მოამზადა იზა იანვარაშვილმა**

# გვიყვარხართ, არ გვავიწყდებით!

**16 აპრილს ბრწყინვალე აღდგომაა, ამ დღეს ქრისტიანული სამყარო საზეიმოდ აღნიშნავს მაცხოვრის სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას.**

**17 აპრილს, აღდგომის მეორე დღეს, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი გადის სასაფლაოზე და თავის მიცვალებულს პატივს მიაგებს, საფლავზე წითელ კვერცხს გაუგორებს, წმინდა სანთელს დაუნთებს და ერთი ჭიქით ღვინით ახლობელს სულის მოსაოხებლად შეიწყალებს. ამ ტრადიციული რიტუალით ქირისუფალი შინ ამაღლებული გრძნობით და რწმენით შინ ბრუნდება. ეს სულიერად ამაღლებს თითოეულ ჩვენთაგანს. სამარადისო სასუფეველში დამკვიდრებული ჩვენიანების გახსენება და პატივისცემა თითოეულ მართლმადიდებელს შვებას გვრის და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს პოეტის სიტყვებს:**

**გადაუარა ბალახმა საფლავს – სიცოცხლის წერტილს.**
**შენ ჩემთვის როგორ აღარ ხარ,მე აღარა ვარ შენთვის.**
**ზაურ ბოლქვაძე.**


იური ლომსაძე,


მიხეილ თედიაშვილი,


როინ ბოლქვაძე,


ავთო გონგლაძე,


ომარ სუდაძე


ჟორა ქოქოშვილი,


დათო ნოზაძე,


ბორდო კახეთელიძე


გოგი ჩაჩანიძე,


ემანუელ დვალიშვილი


როინ ბლიაძე


რობერტ ცუცქირიძე


სოსო სვანიძე


იური წერეთელი


ამირან ინასარიძე

ეს მცირედი შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რათა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ სიკვდილის შვილები, რომლებიც ამ ოციოდე წლის მანძილზე თვალსა და ხელს შუა გამოგვაკლდნენ. იმ ვაჟკაცებს – „ფანთანის ბიჭებს“ ეძახდნენ. არადა, არც ერთი უსაქმური არ ყოფილა, ზოგიერთები წარმოება-დაწესებულების წარმატებული ხელმძღვანელები იყვნენ.

სახელმწიფო საქმესაც კეთილსინდისიერად ასრულებდნენ და მშობლიურ ქალაქში დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ. უმრავლესობამ საპენსიო ასაკსაც ვერ მიაღწია, ისე წავიდა და დაგვიტოვა დიდი სევდა და მწუხარება. სამწუხარო ისაა, რომ უკვდავებაში წასულთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, აქ დარჩენილთა რიცხვი კი... თითზე ჩამოსათვლელი დარჩა.

როცა ქვეყანაში ცხოვრება აირია, როცა წარმოება-დაწესებულებები თითქმის ყველა ერთდროულად გაჩერდა და უმუშევრობამ ბევრი მათგანი საგონებელში ჩააგდო, იმ ღირსებით სავსე ადამიანებმა ვერ მიატოვეს მშობლიური ქალაქი და დარჩნენ ბორჯომის მცველებად, დილიდან საღამომდე მუსიკალური სკოლის სკვერში არსებულ ერთადერთ წყლის შადრევანთან (ფანტანთან) იყრიდნენ თავს და მსჯელობდნენ ამ მთისას და იმ ბარის ამბებზე. უბრალოდ დროს კლავდნენ, თორემ სამუშაოს კიდეც დაეძებდნენ...

მეტად მძიმე გამოდგა მათთვის, „იძულებითი უსაქმურობა“. ზოგიერთები კიდეც მუშაობდნენ და სამუშაოს დამთავრების შემდეგ ისინიც „ფანტანის ბიჭებთან“ იყრიდნენ თავს.

შრომას მიჩვეულები ძნელად ეგუებოდნენ იძულებით უსაქმურობას, ხშირად ომარ გელაშვილის ოფისში სულთანის „იმერეთში“ იკრიბებოდნენ და გულში ჩაბუდებულ ხვაშიადს ღვინოში კლავდნენ...

წუთისოფლის სტუმრები თანდათანობით აკლდებოდა „ფანტანს“, ერთი მეორის მიყოლებით წავიდნენ იუმორით სავსე პიროვნებები და ღისეული ბორჯომელები **გივი ლეგაშვილი** და **ზურაბ სუთიძე, ლევან (ბოხოლა) ტაბატაძე** და **იური (სპილო) ლომსაძე, ვალერი ზულმატოვი** და **ნუკრი ბერგონგლაძე.** რა დაგვავიწყებს **ჟორა (პარმენიჩს) ქოქოშვილს,** რომელიც „ფანტანის ბიჭების“ სული და გული იყო, „ბირჟაზე“ ზუსტად დღის 2 საათზე ცხადდებოდა, მის გარეშე არანაირი შეკრება და პურის ჭამა არ დაიწყებოდა. შვილმკვდარი მამა იყო, ბევრი ლაპარაკიც არ უყვარდა, მუდამ

**იძე, მიხეილ თედიაშვილი და გულო გოგოლაძე, თენგიზ ორთოიძე, ომარ** და **დათო გელაშვილები, სოსო სვანიძე** და **ომარ სუდაძე, ამირან ინასარიძე** შესანიშნავი ექიმები და კარგი ორგანიზატორი **როინ ბოლქვაძე** და **ემანუელ დვალიშვილი...** გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის ნიჭიერი ჟურნალისტი **რობერტ ცუცქირიძე, ვთანდილ** სევდამორეული გახლდათ, მაგრამ როგორც კი შვილიშვილებზე სიტყვა ჩამოვარდებოდა, ათი შვილიშვილი ყავდა, ხარობდა მათი ბედნიერებით. მერედა, როგორ უყვარდათ შვილიშვილებს თავიანთი ბაბუა.

მარადიულ სასუფეველში წასული მეგობრები მართლაც რომ ღირსებით სავსე ადამიანები იყვნენ. ჩემთვის მეტად მძიმეა მათი გახსენება, გული მწყდება ამქვეყნიდან უდროოდ წასვლის გამო, ვინ მოთვლის რამდენი შინაარსიანი სალაღო ერთად გაგვიტარებია, რამდენი თბილი მოგონება დაგვიტოვეს გასახსენებლად.

ერთი წელი შესრულდა, რაც 80 წელს გადაცილებული **ბორდო კახეთელიძე** გარდაიცვალა, შესანიშნავ იურისტს **დათო ნოზაძეს** და იუმორით აღსავსე უროლოგს, **იური წერეთელს,** გარდაცვალებიდან ჯერ წელიც არ შესრულებიათ, რაც ჩვენს საძმოს გამოაკლდნენ .

ამ ადამიანებმა დატოვეს შესანიშნავი ოჯახები, შვილები, შვილიშვილები, ნათესავები, მეგობრები და ახლობლები, რომლებიც სევდით და მწუხარებით წმინდად ინახავენ მათ ხსოვნას.

აქ დარჩენილებს დიდ ტკივილად გვრჩება მათდამი მოგონებები. მოვა დრო და ჩვენც შევუერთდებით იმ დიდ ამქარს, რომლებიც ჩვენზე ადრე წავიდნენ, ბოლოს მაინც იქ ყველანი მოვგროვდებით და როგორ დავიჯერო, ერძთი პატარა „ფანტანი“ ბორჯომელი მეგობრებისათვის მარადისობაშიც არ აღმოჩნდეს, იქ გავაგრძელებთ შეხვედრებს...

17 აპრილს, მიცვალებულთა მოხსენიებს დღეს, აქ დარჩენილი მეგობრები შევიკრიბებით და მარადისობაში წასულ მეგობრებს შევძახებთ პოეტის დიდებულ სტროფს:

**„შენ გაანათლე უფალო,**
**იმ ხალხის წმინდა სულები,**
**რომელთა გარდაცვალებამ**
**ძლიერ გვატკინა გულები“**

**მარადისობაში წასულო მეგობრებო, გვიყვარხართ, არ გვავიწყდებით!**

**ვალერიან ლომიძე.**

# დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს



**ბორჯომში,** 9 აპრილის მემორიალი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** თვითმმართველობის წევრებთან ერთად, ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის ღამეს დაღუპულთა მემორიალი.

ჭიათურის, საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიების მიტროპოლიტმა **დანიელმა,** 9 აპრილს გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა და მათ ხსოვნას პატივი მიაგო.

– დღეს, ვიხსენებთ თავისუფლების იდეის გარშემო გაერთიანებულ ქართველ მამულიშვილებს, მათ ღვაწლს და თავგანწირვას უკვალოდ არ ჩაუვლია. 9 აპრილის მოვლენებმა საფუძველი დაუდო უდიდეს ისტორიულ მოვლენას, ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა თავისუფლება. 9 აპრილის შემოქმედებს სამაგალითო პატივს მიაგებს ისტორია, – აღნიშნა **ოთარ არბოლიშვილმა.**

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა თბილისის ცენტრში, პარლამენტის შენობასთან მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

დარბევის შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა. პარლამენტის წინ შეკრებილი ათასობით მოქალაქე დაუდგენელი შემადგენლობის გაზით მოიწამლა.

1991 წლის 9 აპრილს, მაშინდელმა უზენაესმა საბჭომ, ეს თარიღი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა.

# 9 აპრილი - ჩვენი სევდა და სიამაყე!

**– „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გფარავდეთ ღმერთი!“ – ამ სიტყვების გამო მიყვარს 9 აპრილი, ამ სიტყვების ავტორიც მუდმივად მოგენატრება ადამიანს, რადგან ძნელია გაიხსენო უახლესი ისტორიიდან მსგავსი ეროვნული მუხტის მატარებელი კაცი. თუმცა იყო კიდევ ერთი, მისი თანამოაზრე და უწრფელესი ზნეობის მეგობარი, რომლის გარეშეც ვერ იქნებოდა აზრი საქართველოს თავისუფლებისა – მერაბ კოსტავა, რომელიც სწორედ, 9 აპრილს ამბობს: „საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი. როდესაც ამ 70 წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში პირველად, ასე შეკრული, ასე მთლიანი, წარმოდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე! მართლაც, სხვანაირი სევდა მოაქვს აპრილს... თავისუფლების ქარი ქროდა მაშინ... რუსთაველზე დაჭრილი მთვარე მაინც ჯიუტად ანათებდა. მაშინ ერთი სახელი გვქონდა და ერთი თავშესაფარი – მზეფენილი თავისუფლება! რამდენ პოეტს მიძღვნია ამ დღისთვის ლექსი, რამდენს სიამაყე შემოსწრებია გულში, როცა რუსთაველზე გაივლის... აგერ, ბორჯომელი პოეტი ნინო ხოტივარი-ლომიძე ამბობს კიდეც თავის ბწკარედებში:**

**„ბრმა სიმღერა ხილულ მტერთან, ცრემლი, ტიტა... უთვალავი,**
**თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ქირისუფლის ასარჩევი გზა და კვალი.**
**ჩუმი გვემა, ღია ჯვარცმა, ძიების გზა საარსებოდ,**
**ერთად ყოფნა შეგვარჩინე მსხვერპლწირულო საქართველო!“.**

წელს ბზობას დაემთხვა უჩვეულოდ ეს თარიღი. დიდებით მოსულ მაცხოვარს ჰგავდა ჩვენი თავისუფლებაც... ისიც აცვეს ჯვარს. აგერ აქამდე წვალობს ჩვენივე ჯვარცმული თავისუფლება და ნამდვილ აღდგომას ელის... დიდება მის ნამდვილ და მართალ გმირებს, შეწირულებს, წმინდა ზვარაკს! ღმერთო, რა ძალა ჰქონდათ პატარა გოგოების სუსტზე სუსტ და ბაბუაწვერასავით მსუბუქზე მსუბუქ მხრებს, მთელი სამშობლო რომ ზედ დაიდგეს და აქამდე მოიტანეს. აქამდე მოგვიყვანეს ჩვენ.

**მონიკა ჭანტურია**

# როცა მრი და ზმრი მრთიანია!

**(გაგრძელება)**

ეს მოთხოვნა ბიბლიიდან მოდის და დღეს, როცა მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი პიკს აღწევს და მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები ფიქრობენ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის, ქართველმა ერმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში კუთვნილი ადგილი დავიმკვიდროთ დიდი სახელმწიფოების გვერდით და არ დავკარგოთ ერისთვის ასე საოცნებო დამოუკიდებლობა, რისთვისაც ქართველები საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ.

მეუფე დანიელმა ხაზგასმით განაცხადა: – სასულიერო პირები მუხლჩაუხრელად ზრუნავენ ერის გამთლიანებისათვის, საპატრიარქო არასდროს ყოფილა ასე ძლიერი, როგორც დღესაა. ამასთან არ წყდება ლიბერალური და რადიკალური ჯგუფებისაგან თავდასხმები საპატრიარქოს, ეკლესიის წინააღმდეგ. დღეს აქტიურობენ ლიბერალური დემოკრატიის მომხრეები, რომლებმაც არაერთი წყენა მიაყენეს პატრიარქს, რომელმაც ამ თავდასხმებს მიმტევებლობით უპასუხა.



თუ გვინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, – საქართველო გადარჩეს, დედა ეკლესიის წიაღში უნდა გავერთიანდეთ. გვახსოვდეს, ქართველი ერი და ქრისტიანობა ერთი და იგივეა, ასეთი რწმენით მოვდივართ საუკუნეების მანძილზე.

ითქვა ისიც, რომ ბორჯომში აღვადგინოთ იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი, რომელიც ბოლშევიკებმა დაანგრიეს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: მუნიციპალიტეტის მერი – ოთარ არბოლიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე – დავით ზაალიშვილი, პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი – ვაჟა აიწურაძე, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი, ლომიძეების გვარის წინამძღოლი – ვალერიან ლომიძე, „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელი ეკა ორჯონიკიძე, საკრებულოს დეპუტატი – ვიოლეტა ბალახაშვილი.

მეტად ამაღელვებელი და გულში ჩამწვდომი იყო დედა ელენეს გამოსვლა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებზე, არაერთი მაგალითი მოიყვანა ოჯახის, დედების და შვილების აღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. ხაზი გაუსვა შვილების აღზრდის საქმეში მშობლის, დედის დიდ პასუხისმგებლობას – ჩვენ არ გვყავს დასაკარგი შვილები, დედებო, მოიცალეთ თქვენი შვილებისათვის, დღევანდელ არეულ ცხოვრებაში უდიდესია დედის, ქალის როლი შვილების აღზრდის საქმეში. ფულს ვიხდით, რომ შვილი არ წავიდეს ჯარში, ფულს ვიხდით, რომ შვილი იყოს გაუნათლებელი და უწიგნური, კი მაგრამ, ასეთი ადამიანები მოუვლიან სამომავლოდ ჩვენს ბედკრულ სამშობლოს?

დედებო, იცხოვრეთ თქვენი შვილებისათვის, საქართველოს მომავლისათვის!, – განაცხადა დედა ელენემ.

**ვალერიან ლომიძე.**

# აღდგომა, გაზაფხული, იმედი



**აღდგომა** ალბათ ყველასთვის რაღაც განსაკუთრებულად საყვარელი და მნიშვნელოვანი დღესასწაულია. მისი აღნიშვნა სიხარულის და რაც მთავარია, იმედის მომნიჭებელია თითოეული ჩვენთაგანისთვის. აღდგომა ხომ ისედაც იმედის, რწმენის სინონიმად გვევლინება, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების ზეიმი - ამაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს.

აღდგომის ღამით სრულდება დიდმარხვაც, ეს უდიდესი გამოცდაა მორწმუნეებისათვის, რომელიც მავანისთვის ხშირად მხოლოდ ჭამის შეზღუდვით აღიქმება და ის კი არ ესმით, როგორ სულიერ სიმაღლეებზე ადის ამ დროს მემარხულე, როგორ ფსიქოლოგიურ საიდუმლოებებს ეზიარება ამ შეზღუდვებით. რა საოცრებებს სჩადის გულწრფელი მონანიება! აი მართლაც სად არის კათარზისი და ხსნა - მადლიერება, მონანიება, სიმშვიდე. და თავად დღესასწაულიც ხომ წელიწადის ულამაზეს და უფაქიზეს დროს ემთხვევა- უმშვენიერეს გაზაფხულს, გული რომ ისედაც განსაკუთრებით ძგერს. აღდგომა, გაღვიძება, განახლება, აყვავება - დღესასწაულთა დღესასწაული, თავად სინათლე და გულებში უკიდეგანო იმედის ჩამსახველი თავისი არსით! გწამდეთ და მოგეცემათ. და ყველა მორწმუნე ჩურჩულებს ამ ღამით: ქრისტე აღდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი, და საფლავებსა შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!

ქრისტე აღდგა!

**რუსუდან სხირტლაძე**

# აღდგომის დღესთან დაკავშირებული პროგრამით

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სოციალურ პროგრამაში ჩართულ 702 ბენეფიციარს საჩუქრად 100 ლარი ჩაურიცხა.**

**ფულადი დახმარება მიიღო:**

მრავალშვილიანმა ოჯახებმა;
დედ-მამით ობოლმა 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა;
18 წლამდე ასაკის შშმ პირებმა;
მარტოხელა მშობლებმა;
დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა;
დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულმა პირებმა;
დიდ სამამულო ომში გარდაცვლილი ოჯახის წევრებმა;
ომის შემდგომ პერიოდში გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა;
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვეტერანებმა; (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 160 000-ს);
საქართველოს მთლიანობისთვის ომის შშმ პირებმა (მათ შორის დევნილები);
ავღანეთის ომის ვეტერანებმა;
ჩერნობილის ავარიის დროს მოწამლულმა პირებმა;
9 აპრილის მშვიდობიანი აქციის დარბევისას მოწამლულმა პირებმა;
18 წლის ზევით საპენსიო ასაკამდე I ჯგუფის შშმ პირებმა;

ბენეფიციარებს აღნიშნული პროგრამით სარგებლობა წელიწადში 2-ჯერ როგორც აღდგომის, ასევე ახალი წლის დღესასწაულზე შეუძლიათ.

მუნიციპალიტეტში 23 სოციალური პროგრამა მოქმედებს, რომლის მთავარი მიზანი სოციალურად დაუცველ ადამიანთა მდგომარეობის გაუმჯობესება და მორალური მხარდაჭერა წარმოადგენს.

## პოეზიის კუთხე

### ღმერთო მომეცი უფლება



თავისუფალი გვსურდა საქართველო
და უცბად მონასტერიც აირია,
ნაწამებ საქართველოს შემხედვარე,
მკერდში ლამის გული დაილია.
სხეულში შემძვრალა უკუნი სიბნელე,
სული წრიალებს და არ ჩერდება,
რაღაც ხმა იმედით ჩამჩურჩულებს,
ნამდვილად ვიცი, რომ გათენდება.
საქართველოვ! ისეთ დროს გამეღვიძოს,
პირველს მომელოცოს გათენება!
ხალხში სიცივემ დაისადგურა,
უგულოდ ამბობენ: წვიმა მოვა,
ქარი იმედს მაძლევს - არ იდარდო,
ღრუბლებს გავფანტავ და მზეც ამოვა.
საქართველოვ! ისეთ დროს შემასწარი,
პირველს მომელოცოს მზის ამოსვლა!
ზეცაში საავდრო ღრუბელი გროვდება,
ყვავი ჩხავის: ყინვას არ ექნება დასასრული,
დიდ ყინვას, დიდი სითბო მოსდევს,
ზამთარსაც ხომ აქვს დასასრული.
საქართველოვ! ისეთი დღე მაჩუქე,
პირველს მომელოცოს გაზაფხული!
გული იტანჯება ძმა რომ ძმას ებრძვის,
ომებსაც ქონოდეს დასასრული,
ღმერთმა მოგაშოროს ვინც ბოროტია,
შენს მტერსაც დაუდგეს აღსასრული!
საქართველოვ! ისეთი დილა გათენდეს,
ხალხისთვის მომელოცოს სიყვარული!
საქართველოვ!მომეცი იმის უფლება,
პირველმა მოგილოცო ნამდვილი
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!

**იზო სართანია.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

სპორტი

# საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ბორჯომელ მოჭადრაკეს, ელენე შონიას ულოცავს ბრინჯაოს მედლის მოპოვებას.**

3-4 აპრილს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში 8,12 და 16 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის.

8 წლამდე გოგონათა შორის ბრწყინვალედ იასპარეზა საჭადრაკო სკოლა „ლაზიერის გამბიტის" სკოლის მოსწავლემ **ელენე შონიამ** და მესამე ადგილი დაიკავა.

ამ წარმატებით ელენემ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, რომელიც 6-12 ივნისს ქალაქ ბათუმში გაიმართება.

ელენეს, როგორც საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორს 8 წლამდე გოგონათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატის სატურნირო და სარეგისტრაციო შენატანი დაუფინანსდება.

# გურამ ელიზბარაშვილის გახსენება



**გურამ, 12 აპრილი შენი დაბადების დღეა, რომელსაც მეორე წელია შენს გარეშე ვხვდებით. ჩვენი ოჯახი ფრიდონის გამო დამწუხრებული იყო, მაგრამ ასეთია ბედისწერა: ახლა ეს დღე მხოლოდ ცრემლიანია, რადგან შენ ჩვენთან აღარ ხარ. ორი წელი გადის შენი გარდაცვალებიდან და შენ რომ ტკივილი დაგვიტოვე, იმის მორჩენა არცერთ ექიმს არ შეუძლია, რადგან ეს ტკივილი სულ უფრო და უფრო იმატებს და ღრმავდება. კარგი ადამიანი ხარ, თუ ცუდი, სიკვდილი ყველასათვის სამწუხაროა, მაგრამ შენისთანა ადამიანები არ უნდა იხოცებოდნენ - ყველასათვის კარგო, ას კაცში ამოსარჩევო ადამიანო.**

**შვილი, მშობლები, ძმა - მთელი ოჯახი უკვე შენთან არის, ისინი გადაგიხდიან დაბადების დღეს. ფრიდონი თამადობას გაგიწევს, ჩვენ კი აქედან მხოლოდ ცრემლებით და სანთლებით მოვიხსენიებთ შენს სულს. ილოცეთ ყველა ოჯახისათვის, რომ ასეთი დანაკლისი არავის ენახოს.**

**ნათელში ამყოფოს ღმერთმა თქვენი სულები.**

**ოჯახი.**

# გვაკლიხარ და გვენატრები



**ცოტა ხნის წინ ანზორ (ზურზუტა) ეზრალიძეს 83 წელი შეუსრულდებოდა, ის უკვე ცხრა წელია ცათა სასუფეველში თავის შვილთან კოტე ეზრალიძესთან ერთადაა. იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. იქიდან გვლოცავენ და გვმფარველობენ... კოტემ, 27 წლის წინ, 27 წლის ასაკში დაგვტოვა.**

**მათი გარდაცვალებით თითქოს დრო გაჩერდა... საყვარელი ადამიანის სიკვდილი ამქვეყნად ყველაზე საშინელი მწუხარებაა. დაკარგვის ტკივილით ცხოვრება კი განაჩენი გახდა... თუ წუთისოფელი სიცოცხლე და სიკვდილია და მხოლოდ ორი წამია, ხოლო ჩვენი სევდა და მწუხარება დაუსრულებელია.**

**წარმოუდგენელი იყო მათი ცხოვრების ამგვარი დასასრული. როგორ დააკლდნენ ისინი ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს მათი ერთგულებით, პატიოსნებით, უანგარობით, მხარში ამოდგომის უნარით და მშვენიერი სულით. დაგვიტოვეს მხოლოდ ცრემლები და სიმართლე: ყოველთვის გვახსოვს და ვლოცულობთ მათთვის.**

**ძნელია მათზე წარსულ დროში საუბარი. უბრალოდ ვიტყვით, რომ მამა-შვილმა ლამაზად და უპრეტენზიოდ იცხოვრა, დარჩენილი დარდი და ტკივილი ამის ათეული დადასტურებაა. ყვავილებით მოფენილი საფლავი, მოციმციმე სანთელზე დაყრდნობილი ლოცვა და წრფელი ცრემლია მხოლოდ მცირედი შვება და კიდევ... მსუბუქი იყოს მათთვის მშობლიური მიწა, რომელიც უსაზღვროდ უყვარდათ!**

**ოჯახი.**

# ლია ბიბილაშვილი-ლომიძის გამოსათხოვარი



**არიან ადამიანები, რომლებიც ისე მოდიან და მიდიან ამქვეყნიდან, რომ შეუმჩნეველნი რჩებიან თაობათა მეხსიერებაში. ადამიანად დაბადება და წასვლა კი რჩეულთა ხვედრია. ჩვენი ლია მასწავლებელი სწორედ ასეთი გამორჩეული ადამიანი იყო. კოლეგას კი არა, მეგობარს ვემშვიდობებით - ლამაზს, თბილსა და კეთილ მეგობარს!**

**ლია, ლიაკო, ასე მივმართავდით დიდი და პატარა, კი არ სწყინდა, როგორ მაკადრეს, მათზე უფროსი ვარო, პირიქით, უხაროდა, თანატოლად რომ თვლიდნენ და ფიქრსა და დარდს უზიარებდნენ. მოგისმენდა, ჩვეული სიმშვიდით დაგარიგებდა, რჩევას დიდი სიფრთხილით მოგცემდა, გულში ჩაგიკრავდა, განუგეშებდა. არამგონია, რომ მისმა გარდაცვალებამ ვინმე გულგრილი დატოვა, ყველას გულწრფელი ცრემლი მოადგა თვალზე, ყველა დაამწუხრა ძალიან კარგი ადამიანის გარდაცვალებამ.**

**№4 სკოლის მთელი კოლექტივი დაგტირის ლია მასწავლებელო, ჩვენო ლიაკო, გაუყუჩებელ ტკივილად დარჩები ჩვენს გულებში სამარადისოდ.**

**თვალცრემლიანები გემშვიდობებით! სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა!**

**ბორჯომის №4 საჯარო სკოლა**

მეუღლე ვალერიანი, შვილები ირმა, ნინო, სიძეები ნუგზარ ჩალაური, ზვიად გელაშვილი, შვილიშვილები ნუცა, ჯემალი, მარი, შალვა, ძმა თამაზ ბიბილაშვილი, რძალი მარინა მაისურაძე, ძმისშვილები, გიორგი, ეკა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიანა ბიბილაშვილი-ლომიძე**

პანაშვიდი 11 და 12 აპრილს, დაკრძალვა 13 აპრილს 2 საათზე, ინაურის ქ. №25.

გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორს, ვალერიან ლომიძეს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შესანიშნავი მეუღლის, უზადო პიროვნების, პედაგოგის, სულით წმინდა

**ლია ბიბილაშვილი-ლომიძის**

გარდაცვალების გამო.

ყოფილი თანამშრომელი ნინო სუდაძე, გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორს ბატონ ვალერიან ლომიძეს და მის ოჯახს სამძიმარს უცხადებს მეუღლის, არაჩვეულებრივი პედაგოგის და უთბილესი და უსაყვარლესი ადამიანის

**ლია ბიბილაშვილის**

გარდაცვალების გამო.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი მის ლამაზ სულს.

დალი ლომიძე და დავით ზაალიშვილი და ტამუნა ამანათაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვალერიან ლომიძეს მეუღლის

**ლია ბიბილაშვილი-ლომიძის**

გარდაცვალების გამო.



ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მაღალი კლასის პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, კარგი ოჯახის პატრონი, ბორჯომზე და ბორჯომელებზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება

**ლია ბიბილაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.